

ს ვ ა ლ ი



2443

საგოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი „გაზეთი გაგოდის უძველესი კვირა დღის
№ 1 ი ა ნ ვ ა რ ი 2 1900 წ. № 1

შინაარსი: 1900. წ. ჰეორდანიასი. — სახანაწლო ამონაგენესი დ. თ. — ლისა. — ჩვენებური ზრუნვა საზოგადო საქმისა
თვის სტუმრისა. — სახანაწლო საუბარი ავთანდილისა. — ორმოც და ათი წელი ქართული თეატრისა ივ. გომართლისა. — ივ-
დის მოგზაურობა (ფანჯაზია) ია. ევალაძისა. — საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში ფ. მახარაძისა.
და განცხადებები

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

FL 1160

საგოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახა-
ზებიანი გაზეთი

„ს ვ ა ლ ი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში
ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე
იმავე პროგრამით როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან „კვალს“ მივაბა-
ტება კარგობისა შველა განყოფილებაში, რის-
თვისაც შედგა გუდამიხ თანამშრომელთა სარე-
დაქციო წრე.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუზანელათ 7 მანე-
თათ, ხოლო გაგზანელთ 8 მანეთ. ნახევარი წლით
გაუგზანელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზანელთ 4 მანეთ.
სამი თვით გაუგზანელათ 2 მანეთ., გაგზანელთ 2 მ. 50
კ. თათო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს
წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზანონ.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში „წერა-კით-
ხის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. Д.
зем. баня № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში
არტილერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакция „КВАЛИ“.



1900.

თას რეასი... აღარ არის!
იშვა აიას ცხრაასი!
ასრულდა წესი ღროთა
ბრუნესა!

ღვიდან ერთი საუკუნე
გაგოდის საზოგადო ხმარე-
ბიდან და მის ალავს იჭერს
გეორე საუკუნე.

ღვიდან აღამიანის გო-
ნებაში იშლება ძველი წელ-

თა აღრიცხვა და იწყება ახალი.

ღვიდან მეცხრამეტე საუკუნე იღვენება ყოვე-
ლი მხრიდან, ყველა სფერიდან... ის აღარ მოიხსე-
ნიება ოჯახში, საზოგადოებაში, ცხოვრებაში. მარ-
თალია, მეცნიერება, ასტრონომია შემოგვძახებს,
მოიცათ, ნუ ჩქარობთ, ამ ღვენულს კიდევ დარჩა
ერთი წლის სიცოცხლეო, მარა ამას ვინ უყურებს,

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ერს დაარწმუნებს, ვის დააჯერებს, ახალი საუკუნე არ დამდგარაო. რომ კი დადგა, საუკუნის სახელწოდება რომ კი შეიცვალა, ერთა ასეულის მაგიერ ყოველი რომ გამოვლად! გუშინ ვამბობდით ათას რევას... დღეს კი ათას ცხრაას. განსხვავება დიდი, ცვლილება ღრმაა. 1) და აი, ეს ხედება ხალხის გონებას და აჩუქებს მის წარმოდგენას. გამოცვლა წლის ხომ ძალიან ხშირი და ჩვეულებრივია, მარა მასაც კი რაღაც განსაკუთრებითი სინარულით და აღფრთოვანებით ევალებებით. ელღესასწაულობთ ახალ წელიწადს. საუკუნის გამოცვლა? ეს ხომ ასე იშვიათი და არა ჩვეულებრივია, მას ბედნიერი კაცი მოესწრება და, მაშასადამე, ის გაცილებით უფრო სასინარული და სადღესასწაულია. მაშ, ელღესასწაულობთ ახალი საუკუნე!

ახალი საუკუნე—ეს ახალი ხანაა, რომელსაც ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ, და გვსურს კი რამენაირათ გავეცნოთ.

ახალი ხანა—ეს ახალი ცხოვრებაა, რომელიც ჯერ არ დაწყებულა, და გვსურს კი ჩქარა დაიწყოს.

ახალი ცხოვრება—ეს ახალი სიტუაციაა, რომელიც ჯერ არ გვეგონებია და გვინდა კი ადრე ეგვიტ.

და აი ჩვენ თავს ევკითხებით: რანი ექნებით მეოცე საუკუნეში? რა კარგია წინასწარმეტყველება, რა სასიამოვნოა მომავლის დაბეჯითებით ცნობა! მარა, არა, მგონია, ვცდები, ეს არ უნდა იყოს ასე კარგი, ასე სასიამოვნო. და ეს იმიტომ კი არა რომ მომავალი არ გვინტერესებს, პირიქით, სწორეთ იმიტომ, რომ ის მეტისმეტათ გვინტერესებს, მეტისმეტათ გეწუთრია ჩვენი ბედი მის ბეჯს შევეუკავშიროთ, უკვდავების წყარო იქ ვეძიოთ. ყველა ეს კი გვაშინებს, გვაფრთხობს, გვაკანკალებს, ვაი თუ ვი-

1) გერმანიის უმადლესმა მთავრობამ ოფიციალურ-რთ გამოაცხადა, საუკუნე ბოლოვდება და პირველი ინიკის დიდი ამბით იდღესასწაულს ახალი საუკუნის დასაღებად მასთან ერთათ იდღესასწაულს შიქსამ. ამ ოფიციალურ განცხადებაში სსკათა შიქის წერია: მართალია: რითმეტყავ ამბობს, რომ საუკუნის ცვლილება ხდება ერთი წლის მეტად, მარა ხალხის გმნობა კი არ არის აის თანახმა და საუკუნის სასულის ცვლილებასთან აკავშირებს საუკუნის ცვლილებასაც. მაშასადამე 1900 არის ახალი საუკუნის დაწყება. ამას ამოწმებს ადამიანის საღა მსჯელობა და ხალხის შიქლიტიკურ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში ამას აქვს მნიშვნელობა. დეი, კამინეტეში, როგორც სურთ ისეთი ანგარიშები აკეთონ. ერთი სიტყვით, ხალხის საუკუნე ახლა იცვლება, ხოლო დიეტანტების მეტე.

წინასწარმეტყველობთ ის რაც სრულებით არ გეწადია... არა, არ გვინდა ამის გაგება (და მათი ღლიბა ღმერთა, ვერც გავეგებთ. მომავალი უბედურებაში დღესვე დაარწმუნება—ეს დღესვე გაუბედურებაა, და მერე კარგია ეს? ის არა ჯობდა, რომ რამდენიმე ხანს კიდევ ბედნიერათ გვეგრძნო ჩვენი თავი? წარმოდგენა მომავალი უბედურობაზე დღევანდელ ნამდვილ ბედნიერებას მიწასთან გასწორებს. მერმისა გადაგვექცევა აწმყოთ და აწმყო მერმისათ.

მარა რატომ მარც და მარც ეს ასე წარმოვიდგინოთ, შეიძლება ხსნის ბოძა მერმისშია დასაბილი, ალთქული ქვეყანა იქ არის გაჩაღებული. და რომ ამაში ახლა ვიყოთ დაარწმუნებული სასარგებლო არ არის? ნება მომეცით, ამაშიც დავექცედე, მე მგონია, არც ეს არის სასარგებლო. მომავალი სიტუაცია დაღევანდელ სიმწარეს ჩრდილავს. მომავალი სიტუაცია დაღევანდელ ბოროტებას ხელს აფარებს, ნუ სწუხართ დღეს, ვინაიდან მომავალი შენიაო, ჩინებული იმედია! აიტანე ყოველივე უწესოება, მოითმინე ყოველიწიერი უსამართლობა—ეს ხომ ბრძოლის, ხელის გაქანების უარს ყოფაა, ეს ხომ ადამიანის დაძინება და ცოცხლათ დასამარებაა. არა, არ გვინდა არც ეს.

მაშ რა გვინდა, რა გვეჭირება? გვეჭირება ერთი რამ: სიუბიწლე აწმყოში, გზის განათება და გაკაფვა დაღევანდელ ცხოვრებაში და ეს შეგეძენს საუკეთესო მომავალს. ხვალინდელი დღე ხომ დაღევანდელი დღის გაგრძელებაა და თუ დღეს არაფერი მოგვიმოქმედია, რა უნდა გაგრძელდეს ხვალ?

ახლა შეგვიძლია ისევ ვიკითხოთ: რანი ექნებით მეოცე საუკუნეში? ექნებით ის რაც ვიყავით მეცხრამეტეში და კიდევ რაღაც. ეს გამოუცნობელი მომდინარეობს გამოცნობილისაგან, ისე როგორც მეოცე საუკუნე მომდინარეობს მეცხრამეტესაგან. ყოველივე ხანა შედგება ორი ეგზობალი ელემენტისაგან: ერთი წინ მიდის და იფურჩქნება, მეორე უკან მიდის და ირღვევა. ის რაც მე-XIX საუკუნეში წინ მიდიოდა, წინ წავა მეოცეში, სანამ ერთიანათ არ გაიშლება; ის რაც უკან მიდიოდა მეცხრამეტეში, უკან წავა მეოცეშიც, სანამ ერთიანათ არ დაირღვევა. აი გზანი მერმისისა.

მერე რა მიდიოდა წინ ან უკან? რა გააკეთა გავლილმა საუკუნემ? რა გააკეთა და ის რაც არც ერთ საუკუნეს, არც ერთ ხანას არ გაუკეთებია. მან დაუდგა კაცობრიობას ორი მტკაცე საძირკველი, სახელდობრ: გამარჯვება მეცნიერების და გაუმჯობესობა ხალხის მდგომარეობის. მეცნიერებამ უარყო ცრუმორწმუნეობა და ხალხმა ძველი ცხოვრება, სამუშაოთ შემოიღეს მანქანები, სამო-

გზაუროთ ორთქლით მავალი, საამბოთ ტელეგრაფი, სალაპარაკოთ ტელეფონი. შემოკლდა დრო და მანძილი. შეიქნა ახალი სარბიელი, ახალი სფერა და მით გამოიკვალა ხალხის მდგომარეობა და შეხედულობა. ევროპის ხალხთა სურვილი დაეფუძკვა კუთხედით ევროპის პოლიტიკურ წყობილებას. ამ წყობილებაში თანდათან მეტ ხმას და ძალას იძენს ხალხის უმრავლესობა... ერთი სიტყვით, ხალხი და მეცნიერება—აი რა წამოაყენა წინ მეცხრამეტე საუკუნემ და ეგვევ გადასცა მეოცეს. ეს ორი მხარეა ერთი და იმავე მოვლენის, ერთი და იგივე მოძრაობის. ეს არის პროგრამა ახალი საუკუნის...

ჩვენ, ქართველები, კაი ხანია ჩავებით ამ საერთო ფერხულში. ჩვენც შევეუფევით ევროპული ცივილიზაციის გადმოტანას და საკუთარ კულტურაზე დანერგვას. შეიძლება ამას ჩვენც ვე ნებით არ ვშერეოდეთ, ჩვენ მას კიდევაც ვეწინააღმდეგებოდეთ და კარ-ჩაკეტილობას ვნატრობდეთ, მარა ის მაინც მოდის ჩვენც და ჩვენც ძალა-უნებურათ მიედევართ მისკენ. ამ ორი ელემენტის შეერთება, შეკავშირება და შედუღება ჩამოასხამს ერთ მთელს, რომელსაც ქართული განახლებული ცხოვრება ვწოდება. და აი, შემდეგ უგზო-უკლო ხეტი-ალისა და შინაური წყობილების არე-დარცვსა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამ გზას დაედქოთ. აზური ქერქის თანდათან გამოცემა და ევროპიულის შეთვისება—აი რა პროგრამით შევალეთ მეოცე საუკუნის კარები.

ამ პროგრამის პირველი მუხლი აღიარებს ევროპიულ მეცნიერებას და ქართველი ხალხს. ორივე ეს კი მოასწავებს ძველი ცხოვრების დარღვევას, ძველი აზროვნების დატოვებას და ახალი ურთიერთობის აღორძინებას. მაშასადამე, ჩვენი ცხოვრების ერთი ელემენტი უკან იხევა, სუსტდება და ისპობა, ხოლო მეორე ელემენტი წინ მიდის, მძლავრდება, და ქვეყანას ეფ ნება. ის რაც მიდიოდა გავლილ საუკუნეში, უნდა წავიდეს დამდეგ საუკუნეშიაც და ის, რაც მოდიოდა მაშინ, უნდა მოვიდეს ახლაც. და მერე ვინ მიდის? ვინ და თვითონ ხალხი, ხალხის მოწინავე ნაწილი. ის თანდათან ფხიზრდება, სული გონებით იხედება და ევროპიულ ემბაზში ხათლის-ლებას ეპირება. და მერე ვინ მიდის? მიდის ყველა ის, ვინც ელობება ამ მოძრაობას. მიდის ფეოდალი, რომელიც ვერ ეწვობა ამ ახალ ვითარებას, მიდის ინტელიგენტი, რომელიც უარყოფს ამ ახალ მომდინარეობას, მიდის მოღვაწე, რომელიც ვერ ხედავს ამ ახალ ლტოლვილებას, მიდის და მიდის... და მეოცე საუკუნეში კიდევაც გაქრება.

ღიახ, მეოცე საუკუნე არ არის საუკუნე უკან-

ჩამორჩენილთა და გზა დაბნეულთა. აქ არ აქვს ადგილი აზრის სიღუბეჭირეს და ორკოფობას, მოქმედების სიყალბეს და გულჩახვეულობას. აქ არ არის მათთვის შესაფალი, აქ დაბნულია მათთვის კარები და რამდენიც უნდა იძახონ, ახალ-საუკუნეში გადმოვედითო, ისინი მაინც ძველ საუკუნეში დარჩებიან, ისინი მაინც წარსულის ტყვე იქნებიან...

მეოცე საუკუნე—ეს არის საუკუნე თანამედროვე აზროვნების, თანამედროვე მიმართულების და მოძრაობის. მისი ფარხმალა გულწრფელობა მოუქცეობაში, მოუქდელობა საქმეში, პირდაპირობა დამოკიდებულებაში. ამათთვის ღაა აქ ყველა კარები, ამათთვის ფართოა აქ სარბიელი, ამათთვის ბევრია აქ სამკალი...

აი, ამ დიდებული ხანის დასაბამი არის დღეს! ამ დიდებული საქმის დასაწყისი არის ათას-ცხრაასი! ნუ შეგვაშინებს ეს, რომ ეს უცნობია, ნუ დაგვაფრთხობს მისი შეუჩვეულობა, მისი სიახლე და ახალგაზობა. დავეყნოთ ჩვენ თავს, ჩვენსავე ძალონეს და იმედით შევხედეთ მომავალს!

და შენ, ჩემო მკითხველო, გისურვებ, ყოფილიყო ნამდვილი შეილი ახალი დროის, ნამდვილი მუშაკი ახალი საქმის. ნუ უარყოფ იმას, რაც დაგაბარა მეცხრამეტე საუკუნემ, ნუ უმტყუნებ იმას, რისთვისაც მოგიწოდა მეოცე საუკუნემ!

ნუ დაივიწყებთ, რომ დღეს გათენდა 1900...

ნ. ყოჩაძანი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მთავარ მართებლის ? ძანებით დათხოვნილია გაზეთი „კავკასის“ რედაქტორობისაგან ე. ველიხოვ. ხოლო მის ადგილს დროებით რედაქტორათ დანიშნულია საგლეხო საკრებულო კანცელარის უუროსი მ. მ. ტუბენკოვი.

სახალწლო ამონაკენეაი.



ამოგზავროთ შორს არ წავალ, და არც ძღმისს მე გრძლათ რებს, აქვე ახლას, ამ სახასავს სხვა რომელი შეედრება?— მამულიშვილთ მცირე გუნდი გაყოფილა ორ პანაკათ, რითაც ერთი სუფს იბრუნებს, მეორეს აქვს გუღმი ნაკათ!.. ერთი თავის მოქმედებით წინ წასვლაში თან-და-თანობს;



მეორე გი მის შიდაშირ
 ხმაღს ირღუნგებს, ჩუმთანობს...
 ერთ ბანაკში გაჭყვინტან:
 „აქ სამშობლო იღუბება!“
 მეორიდან ბანს აძლევენ:
 „აქ უჩინრათ მკვდრეთით დგება“!
 ასე უკვლავ თვის ვ თქმულით
 ხელ მძღვანელობს, იგი მოსწონს
 და ვის ხასხუთ ა სს შიდაშირ
 იმათ ამოღებს და მათ გამგონს?..
 ე-თსუღობა, ერთგულობა
 თითქმის უკვლავს დაჭკარვინს
 და მამულის სიუკარულოც
 ჩვენებურათ ამას ჭკვი!..
 მარა... ვნახათ!—ჟერ დღერა,
 ნუ გვეჩენება გულში შიში!..
 დეე მჯობნის და ნაჯობნის
 თვით დრომ მოგვეტოს ანგარიში!..

მოღვესენი გაგვიმჩვენდენ,
 ამას თვით დარ უნდა;
 მარა რა ვქნათ, რომ ზოგ მათგანს
 წამსვე თუნი გაუსუნდა!..
 ვინც ბევრი — გრძნობით, სიტყვით
 ღვესის თქმა არ ესეჩსება,
 მარა ძალაუნებურათ
 შოკოტ გუნდში ეგვესება!..
 სულ სხვა არის ანდაშტებრ
 მთლათ ანსების მიმწიდეველი,
 გულის, გრძნობის და გონების
 ცად მუხანი და აღმგზნებელი...
 და ბევრია ამასთანა? —
 ერთი, რაღი, მეტიც არა!
 სულ სხვა არის ჭკვიჩინსებრ
 მოჭკვიჩინე მეორინარ:
 მისში რამ ვარდს უგაღობს,
 და ივლისში ჩრდილი უყვარს,
 რქტომბერში რთუელს ადიღებს,
 ია ვარში ეტრფის ბუნარა!..
 თუ სხნილია მწვადს უმღერის,
 ღობილს ვი დიდ მარხვაში
 და ამ გვარათ დროს ატარებს
 ასეთ თუჩრებ-განზრანგაში!..
 ის ამ სახით მოღვაწეობს,
 გაგვარძელათ რად ბევრი
 და მწეწელი მასაც ჭკვი-
 ვითომ „დროის შესაფერი“.

უშტეტელი რამე არის,
 ვით მოჩვევი შავი ზღვისა,
 საშირადო ჭანგზე სტეკინის,
 გობობ-ვიტსვის და ღანღვისა!..
 რამ არ ჭთვიჩრობთ, ისე ჩუმათ
 შორს გაგატანს მტვერს და ნაგავს,
 გამოგვანძღავს, გამოგვართრებს

და შირდათ სულ სხვას ჭკვას!..
 თვით რაც მოსწონს, რასაც ჭთვიჩრობს,
 აქეთ-იქით თვალს ატრებს
 და თითონ შორს ვერ მხედველი
 შენ გულშიც მას დაეძებს!..
 და, ვინ იტის, თუ ვაწილდა,
 ზიზღით თვადებს აგარიღებს,
 რაც ვაჭრულათ, სულს არ აძლევის,
 ისიც იმას სულს არ ჭკვიღებს!..
 რა უნდა ვქნათ! — მას აჯავრის
 სურდო ცხვირში მინაკისი
 და მიტომაც ვარდს ვერ ჭყნოსავს
 ზოგაერთი კრიტიკოსი.

ვაჭკვივით მოტიტინე,
 თუთიუქის ნათესავი,
 ჩხიროს სამსხო რამ გამსდარა,
 დაჭკვლია მკაღზე ტყავი,
 უსაქმობით მედიფერი
 და ბუღვარის დვილი შვილი
 დაუხრცულობს, დაცუნცულობს
 ვაქსტონი ფრთა ვაშლილი!..
 და მხოლოდღა მას სსქმობს:
 აქეთ იქით ატყეტს თვალს
 და ვაბანებს დაეძებს, ვით
 მეძებარი ვურდღელის ვაზლს!..
 საზრუნავი სხვა არა აქვს
 მადღიერს ბედის წერის,
 ბუღვარებში დროს ატარებს,
 ქაღებს ეტრფის და დამღერის:
 ..ეს სოფელი სოფლათ მინდა,
 ქუთაისი ქაღაქათო;
 რა ქუდათ არ ძიმაჩნია,
 დედა-შიწ ქაღაქათო!..
 მან საუნჯე გონებრივი
 მთლათ შესწირა „ვერს“, „მამს“,
 იმათ უკვეს მვირფის გუნდრუეს
 და შესასის „ვამა-ვამას“.

უვარცხვით ბატონებო,
 ერთი რაღაც დამავიწყდა —
 მართლს ვიტყვი, რასაც ვიტყვი
 ასევე სული არ წამიწყდა:
 უსაქმერი მოსიარნე
 ჭრულა-ჭრულა ვეშელები,
 ცუდათ მსხდომნი დღე და დამე
 და ბუღვარის ვართ მტველები —
 უკვლავ ერთი მეორეზე
 კვლავც და ღამისა,
 სხვაზეზათ აქეთ ბუღვარი
 და თან „ბადღოს მადზია“.
 სხვა შრომას და სხვა სსქმობას
 ახა როდის ვადრულბენ; —
 უქმი დროის მოსაგვლათ
 მხოლოთ „ფრანცუზ-კადრილობენ“.
 ნუ თუ ბედმა ევს ტომი



მთლათ ვინუღუე გაატურა
და მათი დრის ტარებითა
საუგუნუე მიიწურა?..
მაჲ... მათ ასპარესი
გამოუჩნდათ ამ სანუბში,
ახალია, სსკა გვარა:
„კინკობანა აჩქეუბში“.
ამას ვგადრებ მხლათ, მხოლოთ
ზოგიერთა შლიამსნებს:
ამსუნ, რაჲ ჰხილავდენო
მეკენსებს და სსკა სმოსნებს.. !!

ერთ ვასშამუე მიმიწვიეს
მ, მოწილი თქვენა მონა,
არ მინდოდა წასუდა, მაჲ
რამ აჩვიე გამიგონა!..
გახელი, რაჲ მქენა;
სუფრა დამსვდა გამართული,
ქარკულები ყვეს, მაჲ
არ მესმოდა იქ ქართული!..
ქალი, ვაჲი არეული
სულ სსკა ერთ ჭაკვიგობდენ
და ჩვენ სუფრულ სადღეგმქელს
ამ ერთვე მქამგობდენ!..
ეს მოგვინა ჩვენ სუფრაზე
ეუბში მხსლეიტა, გულზე მკებნდა
და ხან მწარეთ ჩაფიქრებულს
თვალზე ტრემლებს მომაღინდა!..
გულში მწარეთ გავიფიქრე,
ზრგვრსია ესეც არა?
ნუ თუ, სუ თუ ესეც კი წინ
გადავმა ფხის?.. მაჲ...

მაჲ აწ კი ბოდიშს ვინდი,
გამიგმქელა სიტყვა მგონი,
რაც ვთქვი კმაჲ, თუ კი არის
გულით მსმენი და გამგონი.
თუმც კი ვიცი - ეს ნათქვამი
ჩივილის და არ გამიგა,
მაჲ თუ ვთქვი, იმიტომ რამ
ნადელით საესე გული მტკივა!..
„მოყვარესა შინში ძასსვენ
და ასმკენ მიმწარესო;
ხოლო შინში უთქმელობით
მტრის უთსწიან სამარესო“.
და.. მშვიდობით! დავიდადე,
კაღმს ვეღარ ვიჭერ სულში!..
ღმერთო, ღმერთო! ნუ მომასწრებ
სსკეთ შიკრებს ახალ წელში!..

დ. თ—ლი.

ჩვენებური ზრუნვა საზოგადო საქმეებში თვის.

ღეკემბრის 26 დღის 12 საათზე „ჯეჯილი“-ს
რედაქტორმა, ქ-მა ან. წერეთლისამ დასწრე საზო-
გადოებას წაუკითხა „ჯეჯილი“-ს ათი წლის არსებო-
ბის ანგარიში ქართულ ბიბლიოთეკაში. დაწერილ-
ბითი ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ შემოსავალი
ერთ წელიწადს გარდა ყოველთვის ნაკლები იყო
გასავალზე, ამის გამო რედაქტორს ამ ათი წლის გა-
ნმავლობაში ორას თუმნამდე უზარალია. რედაქტო-
რი ანგარიშიდან მხოლოთ მას, რაც თავის ჯიბიდან
ფული დაუხარჯავს, თავის და სხვების უსასყიდლო
შრომას და შინაურ ხარჯს არ იხსენიებდა. რედაქ-
ტორი ერთთა ერთი საყმაწვილო ჟურნალის არსე-
ბობას, მის ბედობასს უყურებდა ისე, როგორც
საზოგადო საქმეს, ამიტომ ვააცნო საზოგადოებას
ჟურნალის მდგომარეობა და თხოვა: სანამ შემქლო,
არაფერი დამიზოგავს და არც არაე-სთვის შემოტყო-
ბინებია ჩემი გაჭრეება; დღეის იქით ჟურნალის არ-
სებობა საშიშ მდგომარეობაშია და იქნება თქვენ მი-
ჩიოთ რამეო, დამსწრე საზოგადოებაში შეიქნა სჯა-
ბასა იმის შესახებ, თუ რატომ არ ჰყავს ერთთ ერთ
ჟურნალს ხელის მომწერთა საქმარ რიცხვი. ერთი
ამბობდა: ვაჲს ნაწარმოები ხშირათ აღარ იბეჭდება
და მისა ბრალიაო, მეორე ჯეჯილს წუნობდა, მესამე
რედაქტორის უფლების შესუსტებაში ხედავდა ჯე-
ჯილის ხსნას და სხვ.

ბოლოს მაინც მიაჩნეს უმთავრეს მიზეზს, საზო-
გადოების გულ-გრილობას, (რალც მანქანებით ამის
მოხსენება „იერია“-ს დაეიწყა), საკვირველი მხოლოთ
ის არის, რომ ეს მიზეზი ფრიად ნათლათ გამოსჭვირს
ყოველ ჩვენ საზოგადო საქმეში და რათ დავილა ამდენ
ხანს 26 დეკემბრის კრებას? ჩენი საზოგადოება არ არის
ჯერ იმდენათ შეკნებული, ეროვნული თვით ცნობი-
რება არ არის ჩვენ ოჯახში იმდენათ განვითარებული,
რომ მას საყმაწვილო ჟურნალის მნიშვნელობა ესმო-
დეს,— თორემ წინა წლებში ჩვენი საუკეთესო მოლ-
ეაწენი და მწერლები თანამშრომლობდენ ჯეჯილში,
მაგრამ რედაქტორს მაინც ზარალ-ს ჰეტი არა უნა-
ხავსრა. თვით კრეაც ნათლათ ამტკიცებდა ამ სამ-
წუნარო მოვლენას: საყმაწვილო ჟურნალის არსებობა
განსაცდელშია და არც ერთი პედაგოგი არ მოსულა,
რომ თავისი აზრი გამოეთქვა. რადგანაც სადილის
ღრომ მოატანა და ჩვენი საზოგადოება ჯერ ჯერო-
ბით მართო პურიოთ მადლარ არს, იმის შესახებ, თუ
როგორ დავებმართო ჯეჯილსო, თავი აღარავის უმ-
ტრევიო. ერთმა თქვა: საზოგადოებას მეტი დახმარე-
ბა აღარ შეეძლიაო, მეორემ—ვ წერა-კითხვის სა-
ზოგადოების საქმეა და მას ჩავებართო; მესამემ—
ამდენი თუ იზარალი, აწიკ გაუძღვებ ზარალსო და
სხვ. ბოლოს საქმე მაინც კომისიის ამორჩევით და-
ბოლოვდა.

სტუმარი.

სახალწლო საუბარი.

მომიტყევე, ჩემო ტარიელ, თუ ამ ხანათ ჩვეულებრივი ავთანდილობა ვერ გაგიწიო! საქვეყნო ჭირვარამა წელში მომტეხა, თმა გამიჭალარავა, თვალთ დამაკლო და გმირული ძალ-ღონე მომიღუნა.

ღღეს ახალი წელიწადია და მინდა, მოლოცვასთან ერთათ ჩემი სამყოფა ადგილიც გამცნო. მე ცხროვრობ საქაჯეთში, მაგრამ აქ ნამდვილ ქაჯს იშვიათათ შეხედები; თმით შემოსილი ტანი, გრძელი ფრჩხილები, ბასრი კბილები, ცეცხლივით წითელი თვალები და უზარ-მაზარი ახმახი მოყვანილობა აქ ძვირი სანახავია, მაგრამ საერთოთ ამ ქვეყანას საქაჯეთი ჰქვია და, როგორც ჩანს, ღირსეულათაც დაურქმევიათ ეს სახელი... მაგალითათ, ვინმე შორეული რომ აქეთ წამოსვლას განიზრახავს, შიშისაგან თმა ებურძენება, ჰგონია ერთ-ერთი ქაჯი ცოცხლათეე ჩამნთქავსო, მაგრამ თნაც იმედი აქვს: იქნება იონა წინასწარმეტყველის მაგალითი ჩემზე განმორღეს და ქაჯის მუცლიდან უენებელი გამოვიდეთ. მაშინ ხომ მარტო საქაჯეთს კი არა, ქაჯთა სტომასქის ვითარებასაც შევისწავლი და ბრძენთა ბრძენის სახელს მოვიხვეჭო. აი, აქ არის ძაღლის თავი დამარხული, ჩემო ტარიელ, და ამიტომაცაა, რომ პატემოყვარეობა ძლევეს ხოლმე შიშსა...

ესეც უნდა გითხრა, რომ ღირს შესანიშნავი ქვეყანაა ეს მხარე. აქ ცხროვრების ჩარხი ისე ტრიალებს, როგორც ნამდვილ საქაჯეთს შეეფერება და, თუ მზგავსება რამა აქვს ამ ქვეყანას ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან, ეს მხოლოთ ის, რომ ახალი წელიწადი პირველი იანვრიდან იწყება. რაკი ახალი წელიწადი ვახსენე, ერთ რამეს გიამბობ და ამით დარწმუნდები, რომ ჩვენში მართლაც საქაჯეთი ყოფილა და არა საკაცეთი.

წუხელის ღამის ათი საათი იქნებოდა, რომ შინ დაებრუნდი და მადიანათ შეეუდექი ვახშმის კამას. მინდოდა, ახალ წელიწადს კარგათ, შეზარხოშებული შეეხედროდი, და ამიტომ, რამდენ ლუკმასაც შეეკამდი, იმდენ ჭიქა ღვინოს მივაყოლებდი ხოლმე. თავდაპირველათ ვისაც ვიცნობდი და არ ვიცნობდი ყველას სადღეგრძელო და სამადლობელი დავლიე, მერე მომაგონდა საცოდავი მიცვალებულები, რომლებიც ახლა ცივ მიწაში გაყინულ-გათოშინიან არიან, გული საშინლათ ამიჩილდა და დავიწყე მათი სულის შესანდობარის სმა. ადამ და ვეადან მოყოლებული არც ერთი მიცვალებული არ დამიტოვებია ისე, რომ მისი სული არ მომეხსენებოდა ჩემ გულმხურვალე შესანდობარში, სხვათაშორის ღმერთს შევეადრე ჩვენგან დახოცილ ქაჯეთის ციხის მცველ-

თა სული და ის იყო ადგომას ვაპირებდი, თუ მომაგონდა და ამ მოგონებამ კიდევ უფრო ამიჩუყა გული... მომაგონდა, ჩემო ტარიელ, ჯორები, ის ჯორები, რომელთაც ჩვენ იმოდენა ნაალაფევი განძი ავკიდეთ და ზღვათ მეფეს მივუძღვენით!.. აბა, შენ გაშინჯე, ვანა შენ ავთანდილს გული მოუთმენდა, რომ იმ პატიოსან ჯორთა სული არ მოცხსენებო?

პირნათლათ შევასრულე სამდროვო მამულიშვილის მოვალეობა და... ავდექა... გარედან საოცარი ჭრეილ-კივილი მოისმოდა; „მოვიდა, მოვიდაო“, მაგრამ მე ყურადღება არაფრისთვის მიმიქცევია, რადგან ჩემ თვალებს მხოლოთ თვალ-მარგალიტით დატვირთული ჯორები ებლანდებოდა, მათი ფეხის ხმა მესმოდა და თუ რამ გამომარკვევდა ხოლმე ამ ბურანიდან ეს პერანგის ღილი იყო, რომელიც არ იქნა და არა, ვერ გაეხსენი... მოსხლეტილი მივეგდე ლოგინზე და... ფიქრებში გავერთე...

— ავთანდილ? — რიხიანი ხმით შემოიძახა ვილაშაც.

— ჰმ! ..

— ავთანდილ! — უფრო მრისხანეთ გაიმეორა იმავემ... მე ძლივს ძლივობით წამოვჯექი-ლოგინზე და ხელები მუხლის თავებზე დავიყრდნე. ამ დროს ერთი ისეთი დამიყვირა, რომ თვალები გეჭივით გადმოვატრიალე და ათრთოლებული ხმით ძლივს წამოვიღულულუდე:

— ბა... ბა... ბატო... — მინდოდა მეტქვა - ბატონო-მეტქი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

— რას მიჰქარაე? როგორ თუ ბატო! მე ვანა ბატი ვარ? მე მოვედი იმიტომ, რომ გავაცნო ჩემი ძალა, რომელიც შენ უნდა ირწმუნო, როგორც მონამ, რაც შეეხება შენ თავხედობას, რომ მე ბატო მიწოდე, ეს მიპატივებია იმიტომ, რომ გეტყობა ჩვეულებრივ ქერქში ვერა ხარ. იცი ვინ გელაპერაკება? — თქვენი ბედის და უბედობის ხელთ მპყრობი — ახალი წელიწადი!

— ვირ... ვირ... ვირ... — მინდოდა მომეხსენებია: „ვირწმუნე ყოველი თქვენი ბრძანება მეტქი“, მაგრამ ეს გასახმობი ენა სულ „ვირს“ იძახოდა...

— ჰო, ეგ-ლა მაკლდა! — გაფითრებით წამოიძახა ჩემმა დაუპატივებელმა სტუმარმა, ერთი ისეთი წამაელო ხელი, და ისე ძლიერათ გადამისროლა ლოგინიდან, რომ სამჯერ ბზრილასავით უკულმა დაეტრიალდი და მერე ისარივით დავესევე ერთ ადგილს.

— რას ლულულულებ? ჩქარა თქვი! დამიყვირა.

— მო... მო... მოხარული ვახლავარ თქვენის მობრძანებით! — მოვახსენე ჩემ სულთამხუთავს და



გამობრეცილი თვალემა ისე ტუტუტუტურათ შევაშტე-
რე, რომ, ეტუბობდა, შევეცოდე, მომიახლოვდა და
უფრო რბილი ხმით მათხრა.

— შენ დიდზე უდიდესი ბრწყინ ხარ, მაგრამ
რაც უნდა იყოს ამ ქვეყანაში პირველ კაცათ გთელი-
ან თურმე და ამიტომ აი, ეს შენთვის მომიცია:
იხელმძღვანელებე ამით და შენი სახელი მსოფლიო
ისტორიაში ამოუშლელი იქნება ისე, როგორც ჩე-
მი სახელი უკუნითი უკუნისამდე უკვდავია.

ამ სიტყვებთან ერთათ გადმომცა ერთი უშვე-
ლებელი წიგნი, რომელსაც ზემოდან „ინსტრუქცია“
ეწერა, და თითონ ამაყის მიმოხეხრით მიჰქართა კა-
რებს.

ცოტა არ იყოს, გონს მოვეკე, მაგრამ კარგა ხანს
მაინც კიდევ ვერ გადავშალე ეს წიგნი, ბოლოს
როგორც იყო, მოვიკრიფე გამბედაობა და დაეუწყე
შინჯვა საამწლო „ინსტრუქციას“. წინა სიტყვაობა
ასე იწყებოდა:

„მე, მთელი მსოფლიოს სეე-ბედის ხელთ მპყ-
რობელი ახალი წელიწადი, ებაძაერა ჩემ წინა მო-
ადგილეს აწ განდევნილ ძველ წელიწადს და მტკი-
ცეთ ვიცაერა მის ღირს შესანიშნავ მოღვაწეობას,
სურვილი მაქვს ყოველი მისგან დაწყებული საქმე
ღირსეულათ დაეაგვირგინო და ამით პირნათლათ
წარედვე ჩემ მომავალ მემკვიდრესთან. ამიტომ სა-
ყოველთაოთ ებრძანებ, რომ ყოველივე მუხლი ქვე-
მოთ აღნიშნულ წესდებ. სა ყველა ჩემ ქვეშევრდომ-
თაგან მტკიცეთ, შეუტყველეთ იქნეს აღსრულე-
ბული“.

1) არიან ბურჯნი საქაჯეთისანი, რომელნიც
სამებათ და ერთ არსებათ ცოდებინ. თაყვანსცემ-
დეთ ამ ბურჯებს და გარეშე მათსა ნურას იწამებთ.

4) მოჰკალით კაცი, რომ ამის წყალობით ც-მ-
ბირში მუქათათ წახვიდეთ.

5) არ მოერიდოთ ძარცვა-გლეჯას და ქურდო-
ბას, თუ ბევრს ვერას იშოვით ეს მაინც იქნება, რომ
ვირის აბანოში თავს ამოჰყოფთ და სასმელ საქმელი
დროზე გექნებათ უშრომლათ და უდავებარაბოთ.

6) ეცადეთ, ერთ რომელსამე ბანკში თავი შერ-
გოთ და ამით ყველას ნდობა დამსახუროთ. მერე
ან გაკატრდით, ან გადაკარგეთ სადმე, მაგრამ ისე
კ, რომ ჯიბეში ბლომათ გქონდეთ სახარჯო. ამით
არც თქვენ წააგებთ რასმე და არც ბანკი, და თუ
სხვა ვინმე წააგებს თქვენ რაო?

7) ერიდეთ სწავლა-განათლებას ისე, როგორც
გადამდებ სენს. სწავლა ჩვენ დროში მეტი ბარგია.

8) ყოველი ზომა მიიღეთ, რომ ნოემბრიდან
დაწყებული აპრილამდე დღეში სამჯერ და ოთხჯერ
მორწყეთ ქუჩები, თუნდაც დიდი თოვლი იყოს; ეს

აუტლებელი საქარობაა სიმრთელის:თვის. ზაფ-
ხულში კი — არა თუ ქუჩები არ მორწყეთ, ყვე-
დილა-საღამოს პარაკლისი ადევინეთ, რომ რაც
წყლის მოღება ყველა წახდეს, მდინარეები დაშრეს
და თქვენ ხანა გამშრალნი იყევთ.

9) ხელი შეუწყეთ ქუჩებში ლაფის გავრცელე-
ბას, სასტიკათ დასაჯეთ, თუ ვინმემ გაბეღოს და
მათი გასუფთავება მოინდომოს და მუდამ ექაროს
გზებზე ყოველი სიბინძურე, რადგან ამას თხოულობს
სახალხო ჰიგიენა.

10) თვალ-ყუჩი ადევნეთ ქალაქის საყასბოებს,
რომ ძროხის ხორცის ნაცვლათ უთუოთ დამზავალი
კამეის ხარცა ჰყიდონ მეყასპეებმა, ისიც ერთი ორ
ფასზე უფრო მეტათ, რაც ტაქსაზე ნაჩვენებ-ა.

11) დაეაღეთ მეფურნეებს, რომ გირვანქა გა-
მომცხვარ პურში, თუ მეტი არა, ნახევარი გირვანქა
მაინც ტარაკანი, ბუზი და სხვა ნაკავი იყოს შეხელ-
ლი, რადგან ეს სტომაქისთვის მეტის მეტათ მა-გე-
ბელია.

12) თუ დიდებული მწერლის სახელი გინდ-თ
დაიმსახუროთ, უპირველეს ყოვლისა გაიძარცვეთ
სამოსელი თქვენი და შეიმოსეთ ძინძუ-კონკებით,
გაუშვით თმა, გაიკეთეთ სათვალეები და ფრჩხლნი
თქვენნი ამოაფსეთ ქუქყითა და მიწით.

13) თუ მოსაგები ადგილის შონენა გინდათ, ან
თანამდებობას რასმე ეძებთ, ლამაზი ქალი შეირთეთ,
ხოლო დედათა სულიერი სილამაზე უარჰყავით და
დათრგუნეთ.

14) თუ ვისიმე ცოლი მოგწონთ და ეყურკუ-
რებით, ჯერ ქმარს დაუმეგობრდით, ოჯახის გულ
შემატკევერ მეგობრათ განდეთ და საქმე გაჩარხება...

15) თუ ერთგულსა და პატიოსან დედაკაცთან
შეუღლება მოინდომოთ, ვიდრე ჯვარს დაწერდეთ,
თხოვნა გაუგზავნეთ, სადაც ჯერ არს, რომ თქვენ
გსურთ გაეყაროთ მეუღლეს. პატიოსანი კავშირი
ყრუ-მუნჯთა ხელობაა და საძრახისი ხელობაც არის.

16) თუ ისეთი ეჭვიანი ცოლი შეეხვედეთ, რომ
ყოველ წასელაზე გკითხავდეთ — სად მდინარ და
როდის მოხვალა? — ხშარათ დაეუბრეთ და ამით
მოუხპეთ კათხეს საშუალება.

17) თუ გინდათ, რომ ქვეყნის საიდუმლო შეი-
ტყოთ, სადალაქოში იარეთ თავის გასაკრეკათ.

18) თუ საზოგადო კეთილი საქმისთვის რამე
შემწეობა მოგთხოვონ, — თუნდაც თქვენი ერთი მა-
ნეთი შამშილით სიკვდილისაგან იხსნიდეს ესმე, —
გამაგრდი კლდესავით და გროშით არ შეეწიო, ხოლო
თუ თქვენი ცოლის კუროს დაჭრდეს, ათას თუმ-
ნობათაც ნუ დაზოგავთ: ეს ოჯახურ მშვიდობი-
ანობას დაამკვიდრებთ...



მ ვ ე ლ ი შ ე ლ ი შ ა დ ი .

თარებას,— ყველა ამგვარი კიბეები, მგონია, საყუ-
რადღებოა ყოველი ქართველიათვის, რომელსაც
თავისი ერის მომავალი აინტერესებს. ამიტომ, რომ
გადაველოთ თვალი ჩვენი თეატრის ბედობას
ამ ორმოც და ათი წლის განმავლობაში, შეიძლება
ვპოვოთ შიგ მცირე რამ საკულისხმიერო და მომავ-
ლისათვის სახელმძღვანელო ან ყურადღებაში მისა-
ღები.

ადამიანის ორგანიზაცია ისე არის მოწყობილი,
რომ ის ინსტიქტიურათ მიისწრაჟის სიამოვნებისა-
კენ, სიამოვნება მის აუცილებელ მოთხოვნილებას
შეადგენს. სიამოვნება ორ გვარია: ერთია ხორციელი
ანუ ფიზიოლოგიური, მეორე სულიერი. მაშნ რომ
დესაც ფიზიოლოგიური სიამოვნების მოთხოვნილება
ყოველ გვარ ცხოველსა აქვს, განვითარების რა სა-
ფეხურზედაც უნდა იდგეს, სულიერი სიამოვნება
მხოლოდ ადამიანის საქროებათ გაძნდარა და ისიც
ყველა ადამიანისათვის არა. ადამიანი გონებრივით
და ზნეობრივით კარგათ განვითარებული უნდა იყოს,
რომ სულიერ სიამოვნებაში საქროებდეს. როდეს-
საც ცხოვრება რთული და განვითარებულია, ერი
გონებრივით დაწინაურებული, მაშნ სულიერი სი-
ამოვნების მოთხოვნილება ერთი და ორი ადამიანის
კი არა მთელი საზოგადოების, მთელი ერის ნიშ-
იობლივ თვისებას შეადგენს. ასეთი ერისათვის საქრო-
რო ხდება სხვა და სხვა დაწესებულება, სხვა და სხვა
საშუალება სულიერი წყურვილის დასაკმაყოფი-
ლებლათ. ერთ ამ გვარ დაწესებულებას წარ-
მოადგენს თეატრი, რომელიც განვითარებულმა სა-
ბერძნეთმა წარმოაშობა, შემდეგ გადმოსცა რომს და
რომიდან მიიღო საშუალო საუკუნოების და დღე-
ვანდელმა ევროპამ. ამ დროს განმავლობაში თეატრი
სახეს იცვლიდა, ისე როგორც იცვლებოდა თვით ცხოვ-
რება. მაგრამ მაყურებელთა უმეტესი ნაწილი საბერძ-
ნეთშიც, რომშიც, დღევანდელ ევროპაშიც ერთი
და იმავე მიზნით მიდიოდა და მიდის თეატრში: მას
უნდოდა და უნდა სიამოვნება. მართალია, სულიერი
სიამოვნების საქროება ადამიანის გონებრივით და
ზნეობრივით განვითარების უტყუარი ნიშანია, მა-
გრამ ნუ თუ თეატრსაც ცალიერი სიამოვნების მო-
ცემის მეტი არა შეუძლია. რა? თუ მხედველობაში
არ მივიღებთ ბალანსურ თეატრს, ძველ ბერძნებსაც
და დღევანდელ ევროპელებსაც თეატრი წერთინდა,
ანებდებდა მათ ცხოვრებაში და ადამიანის გულში,
ულეძებდა სხვა და სხვა გასაკიცხი მოქმედებისადმი
სიკუდილს, ჰბადავდა მათ გულში სიყვარულს და
მისწრაფებას ყოველგვარი კეთილისადმი და ამგვართ
აჯაქიზებდა და ამალვებდა ადამიანის გონებას და
ზნეობას. თეატრი ყოველ დროს ხელს უწყობდა
ცხოვრებისა და ადამიანის გაუმჯობესებას: ვოლტერ-
მა თეატრი პოლიტიკური იდეების გასაერყელებელ
ასპარეზათ ამოიჩინა და თეატრის შემწეობით ხელი

შეუწყო რევოლიუციის მოახლოებას. ამგვართ ქეშ-
მარიტი თეატრი სარგებლობს ხალხის სულიერი სი-
ამოვნების საქროებით და სიამოვნების სახევეში აწე-
ლის მას სხვა და სხვა საკულისხმო აზრს და მაგა-
ლითებს. თეატრის ამ გვარი მნიშვნელობა კარგათ
ჰქონდა შეგნებული თითო ოროლა პარს, რომლებ-
ბიც მეორმოცე წლებში გამოჩნდნ ჩვენში. ამ პირთა
შორის იყო გიორგი ერისთავი. ერისთავი როგორც
განვითარებით, ისე ნიჭითა და მიმართულებით გა-
ცილებით მაღლა იდგა დანარჩენ ქართველობაზე.
ჩვენი საზოგადოება მეორმოცე წლებში საღათას ძილს
მ სცემოდა. გონებრივით და ზნეობრივით ის ძალიან
დაქვეითებული იყო; ძისი ცხოვრება იყო ფუქსავე-
ტი, უზნეო, უშინაარსო. ჩვენი არისტოკრატია ხან-
დახან წარსულისაკენ თუ გაიხედავდა ხეწეშით, თო-
რემ მომავალი მას არც აგონდებოდა, არც იზიდაე-
და; ამ მომავლისათვის ის სრულებით არ ფიქრობ-
და, არ ზრუნავდა. სულიერი მოთხოვნილება უძრავ-
ლესობას არავითარი არა ჰქონდა; ძალზე გაძლოძა
და ლოგინზე გაგორება, ლოთობა და ქორ-მეძება-
რი, — აი მთელი მაშინდელი ცხოვრების შინაარსი.
მხოლოდ მცირეოდნ პირთ, და მათთან ერთათ გი-
ორგი ერისთავსაც, მამულისათვის გული შეტკიოდათ,
მიზნათ დავსახათ საზოგადოების გამოფხიზლება, ერო-
ვნული თვითცნობიერების გაღვივება და გაძლიერე-
ბა, ცხოვრების გაუმჯობესება. რა საშუალებით შეე-
ძლოთ მათ თავისი მიზნის მიღწევა? საშუალება იყო
სამგვარი: სწავლა-განათლება, ლიტერატურა და თე-
ატრი. განათლებისათვის ზრუნვა მთავრობის სრულ
უფლებას ექვემდებარებოდა, ამიტომ მამულის გულ-
შემატყვიართაც ორი უკანასკნელი საშუალება დაი-
ჩენოდათ და მათ მიმართეს გ. ერისთავის მეთაურო-
ბით. ქართული თეატრის დაარსება გიორგი ერის-
თავის უძლიერეს საწადელს შეადგენდა, მაგრამ ამ
საწადელის ასრულებას ბერი დაბრკოლება ელობე-
ბოდა წინ. ყველა ამ დაბრკოლების ძღვევა თავის-
თავათ, სხვის დაუხმარებლათ მარტო გ. ერისთავს
არ შეეძლო. დამხმარებელიც მალე აღმოუჩნდა ერის-
თავს — ეს იყო ვარანცოვი, რომელიც 1844 წელს
კავკასიის მმართველათ დაინიშნა. ეს კაცი იყო შე-
ლათ პატროსანი ბუნების პირი, განვითარებული გო-
ნების პატრონი და სპეტაკი აზრების მიმდევარი. ჩა-
მოვიდა თუ არა საქართველოში, მაშინვე შე-
უღბა მეცადინეობას, რომ როგორმე გამოეფხიზლე-
ბია ჩვენი ხალხი, აღეძრა მასში საზოგადო საქმისად-
მი სიყვარული და მისი კარ ჩაკეტილი უღარდელი
ცხოვრება ევროპიულ ცხოვრებათ გარდაექმნა. თე-
ატრის ის ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა და,
რადგანაც ქართველი მწერალი არ ეკულებოდა, ამი-
ტომ რუსული წარმოდგენების მართვა დაიწყო. რას

აკეთებდა ამ დროს გ. ერისთავი? მას სულითა და გულით უნდოდა, თეატრის შემწეობით სინათლე შეეტანა ჩვენ ბნელ ცხოვრებაში, მაგრამ მისი სურვილი სურვილათვე რჩებოდა ჯერჯერობით, მხოლოდ მისი პაესა „ვაყრა“ ხელთნაწერი ვრცელდებოდა საზოგადოებაში და ნელა ნელა ნიადაგს უმზადებდა თეატრს. როდესაც ვარანცოვმა გაიგო, ქართველებს საკუთარი დრამატურგიც ჰყოლიათ და კომედიაც ჰქონიათო, გადაწყვიტა ქართული თეატრის დაარსება და ამიტომ გ. ერისთავის გაცნობა მოიწადინა. ერისთავი ამ დროს ხიდისთავში ცხოვრობდა. შეიტყო თუ არა ვარანცოვის სურვილი, მისგან გამოცხადდა მას თავისი ხელნაწერით. რადგანაც ვარანცოვი არც გიორგის იცნობდა, არც მის „ვაყრას“, ამიტომ თხოვა მას: სცენის მოყვარე ქართველებს მოუყარეთ თავი და თფილისის გიმნაზიის სცენაზე¹⁾ წარმოადგინეთ თქვენი კომედიაო. ვარანცოვის ამით უნდოდა, თავის თვალთ დარწმუნებულიყო, შეეძლო თუ არა გ. ერისთავს, რომ ქართულ თეატრს წინ გაძლოლოდა.

თეატრის მტრებმა ისევ წამოჰყვეს თავი ამ ამბის გაგებაზე. მათში ყველაზე უფრო უშლიდნენ ამ საქმეს ხელს პ. იოსელიანი, რომელსაც თავის თავი დიდ ფილოსოფოსათ ჰქონდა წარმოდგენილი, თ. რევუზ ერისთავი და ბატონიშვილი მარიამი. ესენი როგორც ძველ ცხოვრებაში, ძველ ზნე-ჩვეულებაში, ძველ შეხედულებაში აღზრდილნი, ყოველივე ახლის მტერი იყვნენ. პ. იოსელიანი გაიძახოდა: თეატრი გაგვრყენის, „მეძვე-კურობა“-ს გაგვიჩენსო. ამავე აზრისა იყო რევუზ ერისთავი, რომელიც ათას გვარ ცუდ ხმებს აერცვლებდა, რომ თეატრის საქმე ჩაეშალა. ბატონიშვილ მარიამს ხომ ქართველი ქალის სცენაზე გამოსვლა და ჩვენი ერის გარყვნა ერთი და იგივე ეგონა და, რადგანაც მას დიდი გავლენა ჰქონდა, ჩვენ საზოგადოებაში, ყოველ გვარ თანაგრძნობას ახშობდა თეატრისადმი. მაგრამ რაკი ვარანცოვი ჰპოვა საუკეთესო თანამგრძნობელი, გ. ერისთავი გულმოდგინეთ შეუდგა თავისი საქმის განხორციელებას. მისი ღიღინის „უზენაესი ნატვრა“, ოცნებათ გადაქცეული, დღეს სრულდებოდა და განა ის საცადელს-ლა დააკლებდა, რომ საქმე დაეგვირგვინებია?! გ. ერისთავმა შეადგინა სცენის მოყვარეთა გუნდი, შეასწავლა მათ „ვაყრა“ და 2 იანვარს 1850 წ. გინაზიის პატარა ზალიდან დაანახა ქართველ საზოგადოებას მისი ფუქსავატი, უმიზნო, უიდეალო ცხოვრება. აი ის პირნი, რომლებიც პირველათ გამოვიდნენ ქართულ სცენაზე: ილ. ორბე-

ლიანი, ოქ. ერისთავი, დ. ი. ყიფიანი, ბ. გ. ანდრეესკისა, კნ. ა. ორბელიანისა, გ. ერისთავი, ქ. ორბელიანისა, გ. ო. შანშევი, ა. ერისთავი, ნ. ერისთავი, გრ. ერისთავი, კნ. მ. ერისთავისა და მ. გ. კილაევი. მიკირტუმ გასპარიჩის როლს კი გ. ერისთავი თამაშობდა. წარმოდგენას დიდძალი ხალხი მოაწყდა. ვარანცოვი ერთობ კმაყოფილი დარჩა. პირველმა წარმოდგენამ ეს დაარწმუნა, რომ გიორგი ერისთავს შეეძლო ქართულ თეატრისათვის მეთაურობა და პატრონობა გაეწია, და ამიტომ ერისთავი ხიდისთავიდან თავის ამაღლაში გადმოიყვანა, რომ თეატრს მუდამ გვერდში ჰყოლოდა. მალე თამაშობის ქარვასლაში დაასრულეს ახალი თეატრის აშენება და ამ თეატრში 3 მაისს 50 წელს გამართა მეორე ქართული წარმოდგენა, ითამაშეს ერისთავის ახალი კომედია „დავა“, რომლის შინაარსიც თითქმის იგივეა, რაც პირველი პიესისა; შინაარსს გარდა ტიპებიც იგივეა, თუ შეიძლება ტიპები ვუქოდოთ იმ მკრთალათ და გარეგნულათ დახატულ პირებს, რომლებიც ამ კომედიაშია. საკვირველი ის არის, რომ პ. იოსელიანმა და რევუზ ერისთავმა, რომლებიც დიდა წინააღმდეგი იყვნენ ქართული თეატრისა, ამ მეორე წარმოდგენაში თვითონ მიიღეს გულმართვალე მონაწილეობა: პირველი თამაშობდა თავადი ონოფრეს როლს, მეორე იმერელ ლომინ გოდობრელიძისას.

ამ წარმოდგენის შემდეგ ვარანცოვმა გადაწყვიტა, ქართული თეატრი უფრო მტკიცე ნიადაგზე დაეყენებია, ქართველებისათვის სამუდამო სცენა დაეარსებია, მაგრამ ამისათვის ფული იყო საჭირო. ვარანცოვი მოელაპარაკა გიორგი ერისთავს, მიანდო მას ქართული დასის შედგენა, ორასი თუმანი მაშინვე მისცა მსახიობთა დასასაჩუქრებლათ და წასახალისებლათ და ყოველ წლივ ოთხასი თუმანი ჯამაგირი აღუთქვა.

ოთხასი თუმანი თუმცა დიდ ფულს არ შეადგენდა, მაგრამ ამ ფულით მაშინ შეიძლებოდა მსახიობების შოვნა.

1850 წ. გაზაფხულზე გიორგი ერისთავი გამგზავრა სოფლისაკენ, რომ იქ შეედგინა დასი. ჩვენ არ ვიცით, რათ მიმართა ერისთავმა სოფელს; ალბათ ის ხედავდა, რომ სოფელში არ აღმოუჩნდებოდა მის საქმეს იმდენი მტერი, როგორც ქალაქში, ამას გარდა სოფელში უფრო იაფათ იშოვნებდა მსახიობებს.

ერისთავმა რამდენსამე თვეში მოაშადა ქართული დასი და შემოდგომაზე ქალაქში ჩამოვიდა. ჩვენი პირველი მსახიობები იყვნენ: ქ-ნნი სააკაძისა, ტატიშვილისა, ანტონოვისა და ბაფროვისა; ბ-ნი დვანიძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი, კორძაია,

1) ეს შინაური სცენაც ვაკანცოვმა გააწყო.

კიკნაძე და ელიოზიშვილი, თფილისში ერისთავი განაკრძობდა გამოუცდელი მსახიობების წერთნას. ეორინცოვი დიდი სიყვარულით ეპრობოდა მათ, ხშირათ დადიოდა რეპერტიციებზე, გულს უხალისებდა ყველას საჩუქრებით და, როცა გაგო, რომ ოთხასი თუმანი არტისტებისათვის ძალიან ცოტა იყო, ასი თუმანი კიდევ მოუმატა ჯამ-გირათ. მთელი შემოდგომა ემზადებოდა დასი და 1851 წ. 1 იანვარს გამოვიდა იმავე „გაყრაში“. ამას შემდეგ ახალი დასი ვარანცოვა გადასცა თფილისის თეატრის დირექციას. დირექცია ქართულ მსახიობებს გულგრილათ ეკიდებოდა, ხელს თუ უშლიდა. თორემ არ ეხპარებოდა, რუსული და იტალიანური წარმოდგენები უფრო იზიდავდა ჩვენ საზოგადოებას, ერთი იმიტომ, რომ ჩინოენიკობა და მხედრობა სულ იქ დადიოდა, მეორე რუსული და იტალიანური თეატრი უფრო ამხიარულებდა მაყურებლებს, ამას მიუძაბთ ჩვენი საზოგადოების მოუშაზადებლობა, რეპერტუარის სიღარიბე და ადვილათ წარმოიდგენთ, თუ როგორ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჩვენი თეატრი. მაგრამ, სანამ ვარანცოვი საქართველოში იყო, თეატრის არსებობას არა უჭირდარა.

1855 წელს ვარანცოვი საქართველოდან გადის, დასს ჯამაგირი აღარ მისცეს, შემოსავალი მას ვერ ინახავდა, გ. ერისთავმა ველარა გააწყობა და იძულებული იყო თავის საქმეს გამოთხოვებოდა, დასი დავთხოვა და თავის მამულში, ხიდისთავს, წასულიყო. გიორგის შემდეგ სცენის მოყვარენი კიდევ ცდლობდნენ, რომ თეატრი როგორმე წამოეყენებიათ ზეზე. ამგვარ პირთა შორის ყველაზე მეტი შრომა და ხარჯი კერესელიძემ გასწია. მან ისესხა ორასი თუმანი, დაიქირავა, შამაზანოვის დარბაზი, გააკეთებია ლოჟები, პარტერი, მოაწყო სცენა, დახატვია დეკორაციები და დაიწყო წარმოდგენები. კერესელიძეს იმედი ჰქონდა: შემოსავალი იმდენი მექნება, რომ ნახევარით ვალს ვისტუმრებ ნაწილ ნაწილათ, ნახევარიც არტისტებს დააკმაყოფილებსო. მაგრამ იმედი არ გაუმართლდა: მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი არტისტები ჰყავდა, როლებს კარგათ სწავლობდნენ, შემოსავალი არტისტებსაც ვერ აკმაყოფილებდა; ძველი ვალი ვალათვე რჩებოდა და მას ახალი ემატებოდა. ექვს თვეს აცოცხლა კერესელიძემ თეატრი, ექვსი თვის შემდეგ კი პოვალეებმა ყოველისფერი ვალში გაუყიდეს და თეატრის არსებობას ბოლო მოუღეს. დასი დაიშალა, ვალი კერესელიძეს დაატყდა. „ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მიჰქონდაო“, სწერს კერესელიძემ. ასგვრათ ქართულმა თეატრმა ხუთი წლის არსებობის შემდეგ სული დალია. ამას შემდეგ

ოცდა ოთხმა წელმა გაიარა, სანამ სამუდამოდ სცენის დაარსება შესაძლებელი გახდებოდა. ამ ოცდა ოთხი წლის განმავლობაში ხალხი ნელ-ნელა იღვიძებდა და წინ მიდოდა. ბატონ-ყმობა მოისპო, ევროპიული ცხოვრების გზაზე მტკიცეთ შედგა ფეხი ჩვენმა ქვეყანამ. მაგრამ გამოუხაზლებია იმდენათ ძლიერი ჯერ არ ყოფილა, რომ საზოგადოების მოთხოვნილებას თეატრი დაეხდა. მხოლოთ ხანდახან სცენის მოყვარენი გამართავდნენ ხოლმე წარმოდგენებს თუ კლუბებში თუ კერძო ოჯახებში და ამით თეატრისადმი სიყვარულს ნელანელა აღვიბდნენ საზოგადოებაში. ამ დროს განმავლობაში ყველაზე მეტი სამსახური ჩვენი თეატრისათვის ნ. ავალიშვილს, ან. ფურცელაძეს და ა. როინაშვილს მიუძღვისთ. როდესაც საზოგადოებამ იმდენათ გამოიღვიძა, რომ თეატრის საქიროება თვით ცხოვრების ვანეითარებას გამოიწვია, შეადგინეს ამხანაგობა: დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი თუმანიშვილმა, დავით ერისთავმა, ნ. ავალიშვილმა, იოს. ბაქრაძემ, ალ. სარაჯიშვილმა, ილ. ჭავჭავაძემ და განიზარახეს სამუდამო სცენის დაარსება. მათ შეაგროვეს ფული, დააარსეს დრამატიული კომიტეტი, გამოიკვლიეს ამხანაგობის წესდება და 1879 წ. 5 სექტემბერს ჩაჰყარეს საძირკველი სამუდამო სცენისა: ამ დღეს წარმოდგენილი იქმნა კნ. ბარბარე ჯორჯაძის კომედია „რას ვეძებდი და რა ვპოვე“.

იქიდან მოკიდებული დღემდე ოცი წლის განმავლობაში ჩვენი თეატრი არ დახურულა; ის თუმცა რყევით მიდიოდა წინ, თუმცა ხშირათ განსაცდელში ყოფილა ხოლმე, მაგრამ მისი არსებობა უკვე მტკიცე ნიადაგზე არის აგებული; ეს მტკიცე ნიადაგი ჩვენი საზოგადოების სულიერი მოთხოვნილებაა. ჩვენი ცხოვრება წინ მიდის, საზოგადოების სულიერი მოთხოვნილება უფრო იზრდება და ძლიერდება; ამიტომ თეატრიც დღითი დღე უფრო საქირო ხდება ჩვენთვის და მისი დღევრძელობა ექვს გარეშეა. სამუდამო სცენის მეორეთ დაარსებაში ყველაზე გულმხურვალე მონაწილეობას იღებდნენ დ. ყიფიანი და გ. თუმანიშვილი. გიორგი თუმანიშვილი არაფერს ზოგავდა, რომ თეატრი მტკიცე ნიადაგზე დაეყენებია და დაეწინაურებია; ის ცდილობდა, რომ თეატრისადმი სიყვარული სოფელშიაც აღედრა და ამიტომ დასი სოფლებშიაც დაჰყავდა ხოლმე. ამგვარმა შრომამ ის დაასწეულა, ამას ზედ დერთო უმადურობა და თუმანიშვილი იძულებული გახდა 80 წლის გასულს თეატრისათვის თავი დაენებებია. ამავ დროს დრამატიულმა კომიტეტმაც ხელი აიღო თეატრზე და მეთაურობა ე. აბაშიძემ და კ. მესხმა იკისრეს. ამ ორ პირს პირველ ხანს კარგათ მიჰყავდათ საქმე, მაგრამ მალე თავი დაანებეს და თეატრის წინგაძღოლა იკისრა აკაკიმ.



აკაკის მეთაურობა მეტათ ხანმოკლე იყო, მას შემდეგ მეთაურობას ხან ერთი პირი კისრულობდა ხან მეორე; პატარა ხანს ისევ შეღვა დრამატიული კომიტეტი, მაგრამ მალე დაიშალა. დღევანდელი ჩვენ თეატრს ისევ დრამატიული კომიტეტი განაგებს

ჩვენ მოკლეთ განვიხილეთ ჩვენი თეატრის ნახევარი საუკუნის ისტორია. შემდეგ წერილში ეცდებით, დაენახოთ კითხველს, რას წაჩოადგენდა ამ დროს განმავლობაში ქართული სცენა, რას აძლევდა ის ჩვენ საზოგადოებას და რამდენათ უწყობდა ხელს ჩვენი ცხოვრების წინსვლელელობას.

ივ. გომარტუელი.

იმედის მოგზაურობა.

(ფანტაზია)

I

ვემორე ნამბობი მოხდა 189... წლის მიწურულეებში, მაგრამ სულ ერთია, მაშინ რომ არ მომხდარიყო, ერთხელაც იქნებოდა ხალხის ერთმული მიაღწევდა მძინარე იმედამდის, გამოაღვიძებდა, ყვირილ-ღრიალით გულს გადმოუბრუნებდა და გაფუთრებული ბრბო



ფეხით ჩამოათრევედა იმ სიმაღლიდან, საიდანაც დღეს ქვეყნის დასათვალისწინებლათ თავისი ნებითა და სურვილით ჩამობრძანდა. აი როგორ მოხდა ეს საკვირველი ამბავი:

მეოცნებე იმედს გაბრწყინებული ეძინა ეშვილდ ცის სივრცეში. აბნათ ზ ფირი ეხურა, ლეიბათ კი თეთრათ გადაპნტილი ღრუბელი ეშალა. მშვილდათ მძინარს შუქურ-ვარსკვლავი თავზე დაწათოდა და ხომლის კუნწულით სახეს უჯრიღებდა, ვარშემო სხვა წერილ ფეხა ვარსკვლა ები შემოხვეოდენ დ გარინდულნი სულ ოდნ ე ციმციმებდენ, მალოთ ის ცელქი ხარი-პარია არ ისეენებდა და დრო-გამოშვევით ისე გაიღრიკებოდა ხოლმე, რომ დანარჩენბიც სიცილით იგუდებოდენ. ღამის პირველ საათზე მთვარეც მოსრიალდა იმედის საწოლთან, მდიდრულათ მიმოჰჟანტა წერილ-ფეხა ვარსკვლავები და კობტა პატარძალსავით შუაში გამოიჭიმა. მთვარე ვარ-

სკვლავებმა ჩვეულებრივათ ერთმანეთი მოიკითხეს და ან სალამ-ქალამში ისეთი ხმა რობა შეუგებდა რომ იმედს გამოეღვიძა. ნებიერთა-ნებიერმა ჯერ შუბლი შეიკრა, მაგრამ ოკნარე ვარსკვლავებს რომ თვალთ შემოავლო, თითონაც გაიღვიძა და მის აკბილთა ელვარებამ სიამოვნების დილილი მოჰჟინა ყველა იქ მყოფთა, ეინაიდა იქედის გალიება მის ძილიდან გამოთხიზლებასა და კაი გუნებაზე დადგომას იმწნადა. მალე ლოგინიდანაც წამოდგა და პირველათ მთვარე მოიკითხა:

— რას დაღერემ-ღხარ, ვარსკვლავთ ბატონო, ვის გაუჯავებ-ღიხარ?

— დავილაღე, ხალხთა ნუჯემო, დავილაღე— ძლივ-ძლიობით ამოიგმინ მთვარემ, — მთელი დღე ქვესკნელს დაეყურებდი, მთელ ქვეყანას თ ეზე შემოგველე, და ჩემი მადლიე ი ვერაინა ენახე. ძირს, ხმელეთზე, საშინელი მკაცრი ზამთარი ამფეებულა, ყინვა ქვასაც კი ხეთქავს, ტყე-მინდორი გატიტვლებულა, მდინარენი გაყინულან ხალხი სიცვიით ეხოცება, დედა-მამა სულს ებრძვის... ტყუილათ ეყიიალლე! ერთი უბრალო ბელურაც კი ვერ ვანუგეშე, ვერ გავათბე! ოხრათაც დარჩენილა ამისთანა სიელვარე. ეს ოხერი, თითქო ვანათებ და საკვებლობა კი არა მომაქვს-რა. ვჰს.. ამოიხრა მთვარემ და უარესათ დაიღვრიდა.

ვარსკვლავებმა ერთმანეთს შეხედეს და რალაცა წ იბუტბუტეს.

— რასა ბუტბუტე? გაუჯავრდა მთვარე და შეიშმუშნა.

— არაფერს, ბატონო, ეწუხართ, რომ ეგრე განაწყენებული ბრძანდებ. ყველას მაგიერთათ უპასუხა ხარი-პარია.

— მაშ ხალხი ძრიელ შწუხებულთა? დაეკითხა კვალად იმედი.

— შენი მტერია, როკორც ის არის.

— მაინც რა აწუხებთ, რა ტყივათ?

— ვინ მოთვლის! ყრუთ უპასუხა მთვარემ. სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოთ ის ეშმაკი ხარი-პარია არ ისეენებდა და სხვათა გასაცინებლათ თვალსა ქუტავდა.

— აი, დღეს მეც წავალ ქვეყნის დასათვალისწინებლათ და ენახოთ რა იქნება, ისეთი კილოთი უხრა იქედმა, თითქო უნდა აგრძნობინოს მთვარეს, რომ მოკიქულებმა ზოგჯერ გადაჭარბება იციანო.

— თქვენი ნებაა, თუმცა კი, მკობი, ძალიან შეწუხდებით, სიტყვა ჩამოართვა მთვარემ, მერე კეკლუცათ შემოტრიალდა და ღრუბლებს მიეთარა.

— არა მიშავს რა მიაძახა იმედმა და ძირს წამოსასვლელათ მოეშადა. ტანზე ზეფირისავე კაბა-ჯუბა ჩააცვა; თავზე უჩინ-მაჩინის ქუდი დაიხურა,

ხელში უკვდავების ყაფარჯენი დაიჭრა და ერთ ერთ ფარსკვლავს მოახტა ზურგზე.

— აბა, ჩემო მერანო, ჩამიყვანე ძირს, ქვეყანა უნდა მოვიაროვო, დაუძახა იმედმა ფარსკვლავს და კარგათ გაწორდა.

— აჩუ, შე სამგლე! მიაძახა ხარი-პარიამ და სიცილისაგან გაგუდული ღრუბლებში გადაკოტრილდა. მაგრამ ეს წაძახილი იმედსა და მის „მერანს“ არ გაუგონიათ. ფარსკვლავი იგი თვალის დახამხამებაზე მოსწყდა ცის კაპარასა...

II

— ვაი მის მშობელს, ვილაც გამოესალმა ამ წუთი-სოფელს! წამოძახა ერთმა ბებერმა მოწყვეტილ ფარსკვლავს დანახვაზე და თვალ-ცრემლიანი საჩქაროთ სახლში შებრუნდა. რა იცოდა საცუადემა ბებერმა, რომ იმ მოწყვეტილ ფარსკვლავს ქვეყნით იმედი ჩამოჰყვა და იალბუზის წვერზე გაჩერდა სულის მოსაბრუნებლათ, შესასვენებლათ... საკვირველი თვისება უნდა ჰქონდეს ამ ჩვენ დედამიწას! დაადგა ფეხი თუ არა მთის კონცხს, ცოტა არ იყოს, ჩვენ ციურ სტუმარს, რაღაც მიწიერი, ქვეყნიური ხასიათი მიეცა, ცოტა არ იყოს გუნება შეეცალა. იალბუზის კენზე გადმოძვარა, შუბლზე ხელ შემოდებული დიდხანს გადმოჰყურებდა დაბლობში გაშენებულ სოფელ—ქალაქებს, თითქო დიდ-ხარისხოვან მოხელესავით სურს ერთი თვალის გადავლებით გაიგოს ხალხის ქარ ვრამიო, მაგრამ რომ ვერა გააჩიარა და ქვეყნიურმა სიცივემაც გერდებში გაუარა, იკადრა იალბუზის ფერდობზე დაქანება.

ერთ ხევში, იქ სადაც იალბუზის მკერდიდან ვეებერთელა ნაკადული გამოდის, თათქო ომში დაჭრილი ვაჟკაცი სისხლათ იცლებო, ღეთის ანაბარათ ერთათ ერთი წისქვილი იდგა. მართალია ამ ნაკადულის ზედა პირი გაყინული იყო, მაგრამ იმდენი წყალი კიდევ დარჩენილიყო, რომ ოსური ცალთვალა წისქვილი ავლრიტინებინა და დაროშვილი ქერის ფქვილი მიეწოდებინა სოფელელებისათვის. ამ ქამათ წისქვილის კარები ღია იყო. თავივით ფქვილში ამოგუნგლულ მიწისქვილეს გაეჩაღებინა ცეცხლი, მიეფიცებინა გამხმარი ჭად-პურები და მათ გახუხუხის მოლოდინში ტკბილათა თვლემდა. აი ამ წისქვილში შევიდა პირველათ იმედი. მძინარა მქვისქვილეს მუხლის ძირში ამოუჯდა და გაკვირებით დაუწყო თვალღება იქ ურობას.

— ელაპარაკობ... ელაპარაკობ... ელაპარაკობ... კუნტრუმით გაიძახოდა ძირ მოცვეთილი სარეველა.

— მეცა ვროშამ... მეცა ვროშამ... ბუყბუყებდა კბილებ დამტყრეული წისქვილის ქვა და თან კოჭ-

ლი გოგოსავით ჰბუქნავდა. თვით წისქვილიც ვინაა ზაქლათ გრილებდა, ქშინავდა და იმ მიწურულელ მიდამოს ხმაურობით იკლებდა.

— ელაპარაკობ... ელაპარ... კრახ!.. მოულოდნელათ დაიგმინა ხეივანი და მოტიტინე სარეველას ხმა ჩააწყვეტინა. ხორბალი სულ მთლათ ჩამოიცილა და ცარიელი წისქვილის ქვები გველივით ასისინდენ. თითქო საგანგებოთ გაღვიძესო, მეწისქვილე ფეთიასავით წამოხტა და გარეთ გამოვარდა, წყალი სატეხურზე გადუგრა და როდესაც გული დაიმშვიდა, თავისთვის წაიბუტბუტა.

— რა მალე გამოილია, ეს ოხერი საუქვაფი, მაგრამ იმედი ხვალაც მოიტანებენ.

— კაი იმედია, შენმა მზემ, თუ ასე ძალღუმადურათ გაატარე შენი დღენიო, დასცინა თვით იმედმა და სიცილ კასკასით კარში გამოვარდა. ნეტა, რა აცინებდა?...

III

